

ზამთრის სპორტი

სეზონური გაჯანსაღების საშუალება მილიონობით ადამიანისთვის



ნისეკოს სამთო-სათხილამურო კურორტი
(ნისეკოს კურორტის ტურიზმის ადმინისტრაციის ფოტო)

შესავალი

იაპონიაში ზამთრის სპორტის სახეობათა პოპულარობა განაპირობა ქვეყნის გამორჩეულმა სურვილმა, რომ გამხდარიყო პირველი მასპინძელი აზიის ქვეყანა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის (1972). ამ სურვილის განხორციელების დასტურია პირველი და მეორე აზიური ზამთრის თამაშების მასპინძლობა (1986-1990 წწ.) იაპონიაში. ამ რიცხვს, უნდა მივუმატოთ 1998 წელს ნაგანოში ჩატარებული ზამთრის ოლიმპიადა.

იაპონიის კლიმატი ფრიად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებისთვის. აქ ზამთრის კლიმატი განპირობებულია მსოფლიოში ყველაზე ცივი, ციმბირის ცივი ჰაერის მასების ზემოქმედებით. აზიის ხმელეთიდან იაპონიის მიმართულებით გადმონაცვლებული ჰაერის ცივი მასები განსაზღვრავს ქვეყანაში დაბალი ტემპერატურის გავრცელებას იგივე განედზე მდებარე ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით. მაგალითად, ტოკიოში, რომელიც ჩრდილოეთ განედის 35°-ზე მდებარეობს, იანვრის საშუალო ტემპერატურის მაჩვენებელია 4.7° C, დაახლოვებით იგივე საშუალო ტემპერატურაა (4.2° C) ლონდონში ზამთარში, რომელიც ჩრდილოეთ განედის 51°-ზე მდებარეობს.

ციმბირული ჰაერის მასების შემოდინება აზიის მხრიდან მოსაზღვრე იაპონიის რეგიონში იწვევს დიდთოვლიანობას, რაც თავის მხრივ განპირობებულია იაპონიის ზღვიდან გადმონაცვლებული ნალექით. 1986 წელს, ნიიგატას პრეფექტურის ქალაქ ჯოეცუში, ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოვიდა 232 სმ. თოვლის ნალექი, რაც საკმარისია ერთსართულიანი სახლის დასაფარავად. ამინდის ამგვარი პროგნოზი მკვეთრად განსხვავდება არქიპელაგის წყნარი ოკეანის მხარისგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მშრალი კლიმატი, ხოლო ზამთარში - შედარებით ნაკლები თოვლი.

იაპონიის ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებისთვის ხელსაყრელი ფაქტორია მთაგორიანი რელიეფი. იაპონიის ალპების მთათა მასივი, რომელიც იყოფა ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ალპებად, გადაჭიმულია იაპონიის ოთხი ძირითადი კუნძულიდან უდიდეს კუნძულ ჰონშიუს ძირითად ნაწილზე. იაპონიის ალპების მწვერვალთა უმრავლესობა 2500 მეტრზე მეტია და ზამთარში თოვლით არის დაფარული. მთაგორიანი ადგილები ადვილად მისასვლელი გახდა რკინიგზისა და გზატკეცილთა საშუალებით სამი ძირითადი დასახლებული პუნქტიდან - კანტო, ჩუბუ და კინკი (თანმიმდევრულად მათი ცენტრებით - ტოკიო, ნაგოია და ოსაკა); ეს ადგილები მოსახერხებელია ზამთრის სპორტისათვის.

მოთხილამურეს შეუძლია შეიძინოს *ჯოეცუ შინკანსენის* (ექსპრეს მატარებელი) ბილეთი ტოკიოში, მზიან და უნალექო დღეს და ერთი საათის სავალი მანძილის შემდეგ ეწვიოს ზამთრის კურორტს ნიიგატას პრეფექტურაში ან ნაგანოს პრეფექტურაში, სადაც თოვლის სიმაღლე ორიდან ოთხ მეტრამდე მერყეობს. სათხილამურო სეზონის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეგიონისა და ამინდის პირობებზე და ჩვეულებრივ იწყება დეკემბრიდან და გრძელდება აპრილის დასაწყისამდე.

სპორტული შეჯიბრი



მოთხილამურე (ფოტო AFLO-სგან)

სხვადასხვა სახის საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობამ გაზარდა ინტერესი და დახვეწა სპორტული ტექნიკა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიაში პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი მამაკაცთა შორის ციგურებით სრიალში. 1928 წელს, სენტ მორიცში (შვეიცარია) ჩატარებული ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ, იაპონია დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. 1948 წლის ოსლოს ოლიმპიადის გარდა, იაპონიამ ყველა სხვა დანარჩენ ზამთრის თამაშებში მიიღო მონაწილეობა.

1972 წლის თებერვალში მეთერთმეტე ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა საპოროში (ჰოკაიდო), სადაც მონაწილეობდა 35 ქვეყნიდან წარმოდგენილი 1128 ათლეტი. აღსანიშნავია, რომ ამ წელს იაპონელმა სპორტსმენმა პირველად მოიპოვა ოქროს მედალი თხილამურებით 70 მეტრი სიმაღლიდან ხტომაში.



ჩქაროსნული სრიალი
(Photo Kishimoto-ს
ფოტოებიდან)

1998 წლის თებერვალში, ნაგანოში ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშები ჩატარდა; ეს იყო მეორე ოლიმპიადა, რომლის მასპინძელი ქვეყანაც იაპონია იყო. მონაწილეთა რაოდენობა შედგებოდა 72 ქვეყნის და რეგიონის 2300 ათლეტისგან. იაპონიის გუნდმა 5 ოქროს მედალი მოიპოვა, მათ შორის თხილამურებით ხტომაში, ციგურებით სრიალსა და თავისუფალ სრიალში.

კურორტები და სხვა ინფრასტრუქტურა



ძაოს სამთო-სათხილამურო კურორტი
ჩრდილოეთ ჰონშიუს უდიდესი კურორტია და ფრიად პოპულარულია მოთხილამურეთა შორის
(ფოტო Zao Hot Springs Tourist Association-ისგან)

კუნძულ ჰონშიუზე არსებული ზამთრის კურორტები ადვილად ხელმისაწვდომია რკინიგზის საშუალებით, აღჭურვილია საბაგროთი და ლამის განათებით. სათხილამურო ტრასების უმეტესობა განლაგებულია ჯოეცუს ხაზზე, რომელიც მთავრდება ტოკიოში. მათ შორისაა: ცუჩიტარუ, ნაკამატო, ივაპარა, იუძავა, იშიუჩი, შიოძავა, ურასა, კოიდე და ოჯიია. სუგადაირას სათხილამურო ბაზა მდებარეობს შინეცუს ხაზზე, მთებს, აძუმაიასა და ნეკოს შორის და წარმოადგენს კურორტს. შემდეგი კურორტი, ძაო, მიიგაის და იაგამატას პრეფექტურების საზღვარზე მდებარეობს. იგი საუკეთესო და კარგად აღჭურვილ კურორტად ითვლება ტოჰოკუს რეგიონში. იგი ასევე ცნობილია "თოვლის "მონსტრებით" - თოვლით დაფარული ფიჭვის ხეებით, რომელიც საუცხოო ზამთრის პეიზაჟს

ქმნის.

დეკემბრის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე ჰოკაიდოს ჩრდილოეთით სრიალი შეიძლება. სასრიალო მოედანი მთის მრავალ კალთას მოიცავს, რომელიც არამარტო ექსპერტებისთვის არის



საციგურაო მოედანი
(ფოტო Kishimoto -სგან)

განკუთვნილი, არამედ დამწყებებსაც აძლევს უსაფრთხოდ სრიალის საშუალებას. ბევრი ასეთი სამთო-სათხილამურო კურორტი მდებარეობს ჰოკაიდოს ძირითად ქალაქებთან ახლოს. ასევე, სოფლებში გვხვდება ტბები თუ მოედნები ციგურებით სრიალის მოყვარულთათვის.

ჰაკონე, რეკრეაციული ზონა ფუჯის მთის მახლობლად, მიიჩნევა ციგურებით სრიალისთვის საუკეთესო ადგილად. ასევე ადვილად მოსახერხებელია ჰაკონემდე მგზავრობა, კერძოდ, ტოკიოდან 2 საათზე ნაკლები სჭირდება მატარებელს.

თანამედროვე ცხოვრების სტილი და სარესტორნო მომსახურება

ზამთრის არდადეგები იაპონიის კურორტებზე სპორტზე მეტს ნიშნავს. თანამედროვე ცხოვრების სხვა მრავალი ასპექტის მსგავსად, დასვენების ტემპიც აჩქარდა და ზამთრის სპორტით გართობის გზებიც შეიცვალა. ადრე ეს გულისხმობდა რიოკანში (საოჯახო ტიპის სასტუმრო) დარჩენას ან ოჯახურ საწოლსა და სადილს; ცხელი წყლის აბაზანებით, ლამაზი ბუნებითა და თხილამურებზე სრიალით სიამოვნებას. თუმცა უკანასკნელ წლებში სამთო-სათხილამურო კურორტების მატებამ, სადაც დიდი და კომფორტული სასტუმროებია აშენებული, შესაძლებელი გახდა თხილამურებით სრილის გარდა, ბევრი სხვა რამ, კერძოდ, რესტორნების (იაპონური, ჩინური და ევროპული სამზარეულო), გოლფის მოედნების, სავაჭრო ცენტრების, სილამაზის სალონისა და სხვ. მონახულება. დღეს ზამთრის კურორტი სპორტზე გაცილებით უფრო მეტს გვთავაზობს. ადგილობრივი ტურისტული პაკეტი შეიცავს ტრანსპორტირებას, სასტუმროს, საკვებს, საბაგიროს ბილეთს და სხვა სერვისებს, რამაც ზამთრის კურორტების ბიზნესი უფრო კონკურენტუნარიანი გახადა.

მომხმარებლის ინტერესის გასაღვივებლად, კურორტები ახალ-ახალ ფასდაკლების პაკეტებსა და სრილის სახეობებს გვთავაზობენ, როგორცაა, მაგალითად, თავისუფალი სტილით და ტელემარკ სრიალი. სნოუბორდის პოპულარობა ძალიან გაიზარდა და იაპონიის ყველა სათხილამურო კურორტზე დაშვებულია სნოუბორდით სრიალი. ამასთან, საჭირო გახდა ახალი უსაფრთხოების ზომების მიღება.

თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით განხორციელდა რიგი ცვლილებები სამთო-სათხილამურო კურორტებზე, რამაც განაპირობა დამსვენებელთა რიცხვის შესამჩნევი ზრდა როგორც უცხოეთის ქვეყნებიდან, ასევე იაპონიიდან. როდესაც ჰოკკაიდო საერთაშორისო სამთო-სათხილამურო კურორტად აღიარეს, იგი 2006 წლიდან არნახულად წარმატებულია დღემდე, თითქმის 10 წლის განმავლობაში, კერძოდ, ჰოკკაიდოზე უცხოელ დამსვენებელთა 500 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.